№ 270

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 270

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.



ნიკოლოზ, დავით და სვიმონ ბესარიონის ძენი ღოღობერიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ქალაქ ქუთაისს 11 დეკემბერს ძმისა თვისისა

**გიორგი ბესარიონის ძის ღოღობერიძისას.**

გამოსვენება იქნება სადგომიდგან (ლევაშოვის ქუჩა, მაჭავარიანის სახლი) ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, დილის 9 საათზედ საკათედრო სობოროში. (1—264—1)

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 14 დეკემბერს,**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ვ. ალექსი-მესხიშვილისა და ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**მ. ტ. გედევანოვის საბენეფისოდ**

პირველად ახალი პიესა:

I

## ბრჭყალები

დრამა 3 მოქმედ. პოლერვიესი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

## დავით რაბინი

კომედია 3 მოქმ., ერკმან-შატრიანისა, თარგ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩხეიძისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, გარელი; ბ-ნნი ალექსი მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმერიძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

მზადდება კ. შათირიშვილის საბენეფისოდ „პატიოსნება“, ზუდერმანის ოთხ-მოქმედებიანი დრამა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ექიმი ნიკო ერისთავი,

ველიამინოვის ქუჩა № 34, ქ. ტფილისში იღებს **ნერვებისა და შინაგან** სნეულებით **ავადმყოფთ** (გულის, ფილტვების, სტომაქის სატკივარნი) დილის 9—11 საათ., საღამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ავადმყოფ ბავშვებს. (10—261—2)


## ახალი ამბავი

*** საშობაო და საახალწლო დღესასწაულების მოახლოვების გამო კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიაში ხელის-მოწერა იქმნა გამართული ღარიბთა სასარგებლოდ ფულის შესაკრებად.

*** საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს 18 დეკემბერს მოელიან ტფილისში.

*** ამ დღეებში ქუთაისში გარდაცვლილა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ბესარიონის ძე ღოღობერიძე. განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა წინად როგორც საბანკო და სათავად აზნაურო, აგრეთვე სხვა საქმეებში. სწავლა განსვენებულმა მოსკოვის უნივერსიტეტში დაამთავრა. მსახურებდა ჯერ ადმინისტრაციაში, შემდეგ მომრიგებელ მოსამართლედ იყო, ბოლოს ვექილობას შეუდგა.

*** ფინანსთა სამინისტროში სდგება განსაკუთრებული კომისია. ამ კომისიამ უნდა გამოიკვლიოს ის ნავთიანი ადგილები კასპიის ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაპირთან, რომლებიც ახლად აღმოუჩენიათ. ეს ადგილები ხაზინისაა და რამდენიმე ათასი დესეტინა იქმნება თურმე.

*** რკინის გზათა მთავარ გამგეობას აზრადა აქვს დააარსოს განსაკუთრებული კურსები რკინის გზის საქმეების შესასწავლად. კურსებზედ სიარული სავალდებულო იქმნება რკინის გზის ყველა შტატ გარეშე მყოფ მოხელეთა და იმათთვის, ვინც მოისურვებს ეგზამენის გადახდას რომელისამე თანამდებობის დასაჭერად.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, საქართველოს ეპარქიის სამრევლო საეკკლესიო სკოლების ზედამხედველი ბ-ნი ნ. გ. ტატიშვილი სარატოვის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად გადაიყვანეს. იმის ადგილას სკოლების ზედამხედველად დაუნიშნავთ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში სამღვთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი ი. ვოსტორგოვი.

*** როგორც „ახ. მიმ“-ს ხარკოვიდგან სწერენ, ჩვეულებრივის ქართველ-სომეხ სტუდენტთა საღამოს გამართვის ნება არ დაურთავს მთავრობას. ფიქრობენ, რომ ამის მიზეზი შარშან გამართულ საღამოზედ მომხდარი უწესოება არისო.

*** როგორც „ცნ. ფურც.“-ს გაუგია, გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატს გადაუწყვეტია, ცხინვალში სინდიკატის განყოფილება დააარსოს.

*** იგივე გაზეთი სწერს, რომ წელს აუარებელი აბრეშუმის თეს-

## ფელეტონი

### მირგველის ველი

(თუშების ცხოვრებიდგან)

სოფელ ომალოს თავს, ერთ ვაკე მთის ცხვირზედ, მოსჩანს მშვენიერი ფიჭვის ტყით მოქარგული მირგველის ველი, რომელიც დაჰყურებს ძირს უფსკრულში მიმდინარე მარცხნივ პირიქითის და მარჯვნივ თუშეთის ალაზნებს.

ორმოც-და-თხუთმეტ წლებში ამ ველზედ დაბანაკებულიყო ქართველ მთიელთა ჯარი თავად ნინიკა ჩოყოლაშვილის წინამძღოლობით, რომ არ შემოეშვათ იმ დროს გამძლავრებული შამილი, რომელიც, როგორც გამძვინვარებული ლომი, შიშის ზარსა სცემდა დაღესტნის მოსაზღვრე ხალხებს... აქ იყვნენ ლაღნი ლევლუგა ფშავლის შვილები, ჯაჭვ-ჯავშანში ჩამსხდარნი ხევსურნი თავიანთ დაშნით და ძველ გაბწკრიალებულ ჯირიგემით და თუშები წელზედ მოკლედ შემორტყმულ ხმლებით. ამ უკანასკნელთა შორის ერივნენ ისეთნი სახელ-განთქმულნი, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე ბრძოლის ველზედ და მის ქარბუქში გაეტარებინათ: ახოვანი და რიხიანი შეთე, რომლის სახელით დაღესტანში დედები აშინებდნენ თავიანთ მტირალ ბავშვებს „გაჩუმდი, თორემ შეთეს მიგცემო“, გამოჩენილი ელიზბარიძე, რომლის ტანი ნატყვივრებისაგან მთლად დაცხრილილი იყო, კლდის კანჭარი დართლოელი ლეკაიძე, რომლის ერთი წარბის შეჭმუხვნა და მრისხანედ შეხედვა, თანამედროვეთა სიტყვით, შიშსა ჰგვრიდა კაცს, უშიშარი შანქის სოლომონი, რომელსაც ბრძოლის ცეცხლი ლხინად მიაჩნდა და პატარა ტანადი, მაგრამ ფოლადის ნამტვრევი, ცეცხლის ნაპერწკალი გორგაიძე!.. *)

ბანაკი მხიარულობდა მშვენიერს მწვანეზედ, ტყის პირას გაშლილ ჯარის უფროსის კარავში გაისმოდა აღფრთოვანებული კახური მრავალჟამიერ, იქით, ველად, მჭეხარე ხევსურის ხმასთან ერთად გაიგონებდით მომტირალ ფშავლის და გულ-ჩათხრობილ, ვით გლოვის ზარს, ნაღვლიანს თუშების სიმღერას, რომელიც მოგვითხრობდა მტრის შემოსევას, მისგან რომელისამე სოფლის დაწვა-დაბუგვას, ხალხის დატყვევებას ჩაჩან-დაღესტანში, ან რომელისამე თავიანთ გმირის მტერთან ბრძოლაში მამულისათვის თავის შეწირვას...

მზემ პირი იბრუნა დასავლეთისაკენ. მთის ცივმა სიომ დაჰბერა. მოიჩრდილა თუშეთისა და პირიქითის ალაზნების ჩაღრმავებული ვიწრო ხევებ. ხოლო ისევ ისე კაშკაშებდნენ მთის გალესილი მწვერვალები, რომელთა შორის თოვლიან ყინულიანი ტებულოს, დანოს და კვავლოს მთები, ეს დარაჯები თუშეთისა, თავის შესაზარ შავ კლდეებით ქედ მოუდრეკელად და ამაყად გადაჰყურებდნენ მიუძინებელ თავიანთ მტერს—დაღესტანს...

— ეი, ბიჭებო, რას ფიქრობთ, წყალი ხომ არაგაქვთ ღამისათვის, რატომ ეხლავე არ იზრუნებთ! გაისმა ხმა ჯარის უფროსისა.

— ეხლავე წავალთ, ბატონო, მიუგო ოთხმა ოსმა, რომელთაც მოვალეობად აელოთ წყლის ზიდვა ჯარისათვის.

— აბა რაღასა დგეხართ, დაეჩქარეთ, სანამ დღე კიდევ არის, თორემ ღამე რას მოიტანთ ამ ჯოჯოხეთურ ალაგას! ბრძანების კილოთი დაასრულა უფროსმა და შევიდა ისევ კარავში.

II

მირგველო ველში არ მოიპოვება წყალი, ამიტომ ჯარი ეზიდებოდა ძირს ხევიდან, რომელშიაც ჩამოდის პირიქით თუშეთის ალაზანი. გზა მშვენიერ ფიჭვის ტყიან, მაგრამ ძლიერ დაშვებულ კალთაზედ ჩამოდის. იმ ალაგას ხევი მეტად ვიწროვდება, ალაზანი გაჰშმაგებულად ჰღრიალებს, ჰხტის, ჰშფოთავს, სცემს აღქაფებულ მღვრიე ტალღებს ქვიან კიდეებსა და მისი ნატყორცნი ქაფი ვარდება ისევ შუა მორევში. ამ შევიწროებულ ალაგას გადადებულია ვიწრო ხის ხიდი

*) ყველა ეს თუშები აფიცრები იყვნენ, მეცხვარეებიდგან გამოსულები, ელიზბარიძემ კაპიტნობა მიიღო და ვლადიმირის ორდენი ჰქონდა.

ლი შემოაქვთ ბათუმის დამოენით უცხოეთიდგანაო. პირველ დეკემბრამდე 600 ფუთზედ მეტი თესლი შემოუტანიათ. ამ თესლის უმეტეს ნაწილს ტფილისის საჰბრეშუმო სადგურზედ ჰგზავნიან თურმე, დანარჩენს—სპარსეთსა და სამარყანდში.

*** განზრახვა აქვთ ამწელს ტფილისში სასმელების დუქნების რიცხვი შეამცირონ. საზოგადოდ, ვისაც ყავახანისა ან ლუდხანის გახსნა ჰსურს, იმან უნდა ამის შესახებ არსებულის კანონით იხელმძღვანელოს, რომელიც თხოულობს, რომ ასეთი დუქნები ეკკლესიებისა და სასწავლებლებისაგან დაშორებული იყვნენ.

*** როგორც „ახ. მიმოხ“-ს ატყობინებენ, ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი ი. დ. უთნელიშვილი ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრად დაუნიშნავთ.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ სოფ. მუხრანსა და მჭადის-ჯვარში საქონლის ჭირი გაჩნდა. ეხლა, როგორც „ცნ. ფურც.“-ს ატყობინებენ, მუხრანში წითელა და ქუნთრუშაც გაჩენილა, რომლებსაც უკვე 12 ბავშვი უმსხვერპლიაო.

*** იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ 25 ნოემბერს სოფ. კულაშის მცხოვრებს, გლეხს ს. შენგელიას საფანტით გატენილი თოფი ესროლა მემამულის ვლ. მიქაძის მოჯამაგირემ კაკაბაძემაო. დაჭრილი შენგელია ქუთაისში წაუყვანიათ, მაგრამ მისვლისათანავე გარდაცვლილა.

*** 10 დეკემბერს „ტფილისის სომხურ წიგნების გამომცემელ საზოგადოების“ მოქმედების გაუქმების შესახებ მოსალაპარაკებლად წევრთა საზოგადო კრება მოხდა. როგორც გამგეობის მოხსენებიდგანა სჩანს, საზოგადოებას ჰქონია სულ 41,000 მანეთის ქონება, რომელსაც თურმე შეადგენდა საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნები; ვალი ჰქონია 3,000 მან.; მაშასადამე, წმინდა ქონება—38,000 მ. გარდა ამისა, საზოგადოებას ჰქონია სათადარიგო თანხა 10,000 მანეთი, რომელიც ა. ზოდოსიანს სახალხო და საუმაწვილო წიგნების გამოსაცემად შეუწირავს. კრებამ დაადგინა ბ-ნს ზოდოსიანს ეს ფული უკანვე დაუბრუნოს, ხოლო დანარჩენი 38,000 მანეთის ქონება ერევნის სომეხთა სასულიერო სემინარიას შესწირონ. კრებამ კომისია აირჩია 5 კაცისაგან, რომელთაც კრების გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა. („ახ. მიმ.“)

*** როგორც იმავე გაზეთს ატყობინებენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გომის სადგურის ახლო მდებარე სოფელ დუმაცხოველში რაღაც უცნაური სენი გაჩენილა: კაცს ზურგზედ მუწუკი უჩნდება, ეზრდება, უშავდება და ავადმყოფი კვდება თურმე. ამ მოკლე ხანში ამ სენით 15 კაცი მომკვდარა.

## ქალაქის საბჭო

11 დეკემბერს სხდომაზედ საბჭომ მოისმინა წარსულ სხდომაზედ განხილული საქმეები და დაამტკიცა იგინი. შემდეგ კენჭის ყრით არჩევანები მოხდა: ტფილისის სახაზინო პალატის სამრეწველო გარდასახადის საზოგადო საკრებულოს წევრად ამოირჩიეს ბ-ნი ტერ ასატუროვი, ხოლო პირველ ხარჯის გამწერ საკრებულოს წევრებად ამორჩეულ იქმნენ ხმოსნები: ეგიაზაროვი, აკოფოვი და გურგენოვი; მათ კანდიდატად ხმოსანი ნაზარბეგოვი; მეორე ხარჯის გამწერ საკრებულოს წევრებად:—ბ-ნი ფინკი და სხ. ამის შესახებ საბჭოს წარედგინა ტფილისის გუბერნატორის წინადადება ქალაქის ფერშლად ნამყოფის მიხეილ ფალადოვისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. ხანგრძლივის კამათის შემდეგ საბჭომ 6 ხმის უმეტესობით მიიღო გამგეობის მოხსენება, რომელსაც დაუდგენია, რომ მიხ. ფალადოვს კანონის მიხედვით პენსია დაენიშნოს. გარდა ამისა, საბჭომ მოისმინა ს. ა. ცატუროვის თხოვნა და ამის შესახებ გამგეობისა და საფინანსო კომისიის დადგენილება. ს. ა. ცატუროვი სთხოვს ქალაქის გამგეობას, მაპატიეთ მამულზედ დარჩენილი გარდასახადიო, რადგანაც ეს მამული შემოსავალს არ იძლევაო. საბჭომ მიიღო ამის შესახებ გამგეობის დადგენილება და, თანახმად უმართებულესის სენატის განმარტებისა, ცატუროვს 188 მანეთი აპატია. საბჭომ მიიღო აგრეთვე გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ სხდომის დადგენილება, რომლითაც მე 3 საობლიგაციო სესხის საგერბო გარდასახადისათვის 2,650 მან. იქმნა გადადებული. ამის შემდეგ დიდი კამათი გამოიწვია დაწუნებულ საკლავ საქონლის დაზღვევის შესახებ გამგეობისაგან წარდგენილმა მოხსენებამ, რომლის შესახებაც ქალაქის გამგეობა ბერლინისა, პეტერბურგისა, მოსკოვისა და სხვა ქალაქის თვით-მართველობათ დაჰკითხებია, თუ ამ შემთხვევაში იგინი როგორ იქცევიან, მაგრამ ის პასუხი მოსვლიათ, რომ არც ერთ ამ ქალაქთაგანში ხეირიანად არ ყოფილა ეს საქმე მოწესრიგებული. ქალაქის მოურავმა ამის შესახებ განაცხადა, რომ ზემოხსენებულს ქალაქებში საქონლის დაზღვევასა სცდიან და მოდი ჩვენც ვცადოთ რა შედეგი მოჰყვებაო. საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება, რომლითაც ქალაქმა დამწვარ საქონლის ღირებულობის $^3/_4$ უნდა უხადოს საქონლის პატრონთ. დასასრულ, მიღებულ იქმნა ხმ. ქალანთარის წინადადება, რომლითაც შემდეგი გადასახადი დაწესდა საკლავ საქონელზედ: სხვილ საქონელზედ—12 კ., ხბოზედა და სხვა წვრილ ფეხ საქონელზედ—3 კაპ., ხოლო ღორებზედ 40 კაპ.

## წერილი საინგილოდგან.

„ივერიის“ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ერთმა ინგილო ქალმა ჯვრის წერის დროს, როდესაც მღვდელი დაეკითხა: „თანახმა ხარ ამ ვაჟზედ ჯვარი დაიწერო თუ არაო“, ქალმა უარი განაცხადა და ეკკლესიიდგან გამოვიდა *). ამ მოულოდნელმა შემთხვევამ თითქმის მთელი საინგილო აალაპარაკა და ააზვირთა. ისე კაცს არ შეხვდებოდით სოფელში, რომ ამაზედ არ ჩამოეგდო ლაპარაკი. ინგილოები ორ დასად გაიყვნენ: ერთნი ქალის მომხრენი იყვნენ და ამბობდნენ: „ახად და სამართლიანად მოუვიდა მაგ თავდასვიანს; თუ ქალი თანახმა არ იყო წაჰყოლოდა, ეკკლესიაში რად მიჰყავდა ჯვრის საწერად და ამოდენა ჯამაათში თავს რად იჭრიდაო“? მეორენი-კი მამა პაპურად გაიძახდნენ: „ქალს ნება ვინ მისცა მაგისთანა საქმე ჩაიდინოს და მეზობელ ხალხთან თავი მოგვჭრას, რომ მამაპაპის ადათი დაგვიტოვებიაო. ეგ სწორედ ცხენის კუდს უნდა მოვაბათ, სასოფლოდ ავატარ ჩავატაროთ, რომ სხვებმაც დაინახონ და მაგისთანა საქმე აღარ გაბედონო“. ასე გამწვავებულნი იყვნენ ზოგიერთი ინგილოები ამ შემთხვევით. მკითხველისათვის უთუოდ საყურადღებო იქნება იცოდნენ, გაიტანა თავი ამ უსამართლო ხალხის ბრბოში ქალმა, თუ ვერა? ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „დედა-კაცმა გაიწია და ცხრა უღელმა ხარმა ვერაო“... მართალია, ვაჟის მომხრენი ყოველსავე ღონისძიებას სმარობდნენ ქალი როგორმე მოეხიბლათ და მოეჯადოებინათ, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარათ. რადგანაც ვაჟი ქალს მოსვენებას არ აძლევდა, მოტაცებას უქადოდა და მუდამ იმასა სცდილობდა, რომ ქალი როგორმე ხელში მოეგდო და შეურაცხყოფა რამე მიეყენებინა, რომ ამ ნაირად ქალი ყოვლის უარის უთქმელად გაჰყოლოდა, ამის გამო ქალის მოკეთეებმა ხალხის დასაჩუმებლად და ქალის მყუდრო ცხოვრებისათვის ადრევე იზრუნეს და სხვა სოფელში გაგზავნეს იგი ნათესავთან.

გავიდა რამდენიმე ხანი და ქალს მიწერილობა მოუვიდა ნაიბისაგან, რომ დანიშნულს დროს სასამართლოში გამოცხადებულიყო. ვაჟიც შეიტყობს ამ ამბავს. ქალი ნაიბთან გამოცხადდება და აღიარებს, რომ მე მაგ კაცზედ ჯვრის დამწერი არა ვარო. ვაჟი შეიტყობს ამ ამბავს, მომეტებულის ბოროტით აღივსება და გულში გარდასწყვეტს: „გზაზედ გავუდგები, ერთს შეურაცხყოფას მივაყენებ და მერმე რაც უნდა მომივიდესო“! ასეც მოიქცა, როდესაც ქალი ნაიბიდგან სახლში დაბრუნდა, გასცდა თუ არა სოფლის ორღობეს, ცხენით მიმავალს ქალსა და მისს მოხუც ნათესავს ვაჟი წინ დაუხვდა, გადუდგა ქალის ნათესავსა და მრისხანედ შეუტია: „სად მიგყავს ეგ ქალიო“? ამასთანავე ქალის ცხენს აღვირს დაუჭერს, რომ ხელიდგან არ წამივიდესო. ქალს, რასაკვირველია, შეეშინდება, მაგრამ უკანასკნელს ძალ-ღონეს მოიკრებს და თავს შეიმაგრებს. ქალის მოხუცი ნათესავი მიჰხვდება, რომ წინააღმდეგობა ამ წინადვე მომზადებულ და აღელვებულ ახალგაზრდასთან ვერას გახდება და ტკბილად დაუწყებს ლაპარაკსა და ეტყვის: „შვილო, ამ ქალს განა ვინ გართმევს, ეს ხომ შენია და შენი, რაღაზედ ძალადობო? ქალი-კი მოთმინებიდგან გამოდის ვაჟის ასეთი მხეცური ქცევითა, შემოიკრებს ძალ ღონეს, გამოსწევს აღვირს ვაჟის ხელიდგან, წაართმევს, შემოუქნევს მარჯვედ ცხენს მათრახსა და უგზო უკვლოდ გასწევს თავის საშველად. ვაჟი ქალის ამნაირად უჩალობით სახტად დარჩება, და ბოლოს მუქარით ცარიელ-ტარიელი შინისკენ დაბრუნდება.

გავიდა რამდენიმე თვე. საინგილოს სოფლებში ხმა გავარდა, რომ ამა და ამ კაცზედ ხელ აღებული ქალი ჯვარს იწერსო. ამბავმა ვაჟამდისაც მიაღწია. ვაჟი ეხლა უფრო გაშმაგდა, გავიდა სოფელში და აწვრილებით გაიგო ვისზედა თხოვდებოდა მისი სატრფო. „კაცი არ ვიყო და ულვაშები არ მესხას, თუ ვისმეს უსისხლოდ დავანებო და ლუკმა-ლუკმად არ ავკუწო ორივენიო?“ გაიძახოდა შერცხვენილი და ქალისაგან დაწუნებული საქმრო. კეთილის მსურველებმა და ნათესავებმა ბევრი ურჩიეს და ელაპარაკნენ ვაჟსა, რომ ამ ქალისათვის თავი დაენებებინა და სხვა მოეძებნა, მაგრამ ის სულ იმას გაიძახოდა: „მე მაგის მეტი არავინ მინდა, პირობა მაგასთანა მაქვს მიცემული, ან მე უნდა ვიყო და ან მაგის წამყვანიო!“ იმ ღამეს ვაჟს თვალიც არ მოუხუჭნია. მეორე დღეს წამოდგა თუ არა, სასიძოს მამის სახლისაკენ გაემართა. სასიძოს მამა მოხუცი მიხეილი ქორწილს ემზადებოდა და მთელი მისი ოჯახობა ფეხზედ იდგა.

— „მიხეილ, გარედ გამო!“—დაუძახა ამაყად ვაჟმა. ვაჟის დაძახებაზედ მიხეილი ორღობეში გამოვიდა. „მოვიდა სიტყვა, დახვდა ქვაო“, ვაჟს სწორედ ისე მოუვიდა. მიხეილი ჭარმაგი, შუატანისა და მხარ-ბეჭიანი მოხუცია. მისს სიბერისაგან დანაოჭებულს სახესა და ცოცხალს თვალებში ცხადად გამოსჩანს, რომ იგი ვაჟკაცობით თავისს დროზედ არავის ჩამოუვარდებოდა.

— მიხეილ, შენ ხომ იცი, რომ ის ქალი, რომელიც თქვენ მოგყავთ თქვენის შვილისათვის, ჩემი საცოლეა; მე იმას ცოცხალის თავით არავის დავანებებო“ და ამ სიტყვებზედ ვაჟმა ხანჯალს ხელი იკრა და ჰაერში აალაპლაპა, მაგრამ მიხეილი ამას სრულიადაც არ შეუშინდა და გულ-დადინჯებულმა უპასუხა: „ნუ ცუღლუტობ, ბიჭო, დადექ, მე შენი მუქარისა არ მეშინიან! შენსავით ძალათი ხომ არ ირთავს ჩემი შვილი იმ ქალსა და ან ძალად შერთული ქალი რას გამოადგება ოჯახსა? თუ ჩემ მოსაკვლელადა და ან ჩემის შვილის მოსაკლავად მოსულხარ, აი, მომკალ, აჰა ჩემი კისერი! და მოხუცმა ახალუხის საყელო გადაიწია და კისერი ვაჟს მიუშვირა. ვაჟი მოხუცის ასეთმა უშიშრობამ მთლად შეაკრთო, შედგა... „რა ვუყო შენს მოხუცებულობას, თორემ ცოცხალი არ დაბრუნდებოდი სახლშიო“, და ამოღებული ხანჯალი ქარქაშშივე ჩააგო.

— „საქმე ეგრე არ არის, შეუტია მოხუცმა ახალგაზდას, ჩემს მოხუცებულობას-კი არა, შენს თავს დასდე პატივი, შე მაწანწალა პირუტყვო“!.. იძრო ხანჯალი მიხეილმა და ვაჟს გადაედობა.

— შენ ხომ შენი გაათავე და, აბა, თუ ვაჟკაცი ხარ, დადექ! ამ სიტყვებზედ წაავლო კისერში ხელი მოხუცმა ახალგაზრდას და ხანჯალი დასაკრავად მოუღერა, მაგრამ უცებ ვიღამაც მძლავრად

*) იხ. „ივერია“ №№ 44 და 60 ამ წლ.

---

და შესდგება თუ არა ზედ გასასვლელად მგზავრი, ზანზარებს საშინლად, და მით შიშის ზარსა სცემს უჩვევ კაცს. ხიდიდგან გზა პირდაპირ ადის თუშების სოფელ ჩილოში. ხიდის ახლო-მახლოდგან ჩილოელები ეზიდებიან შეშას, უფრო მანდილოსნები, ზოგნი ცხენებით და ზოგნიც პირდაპირ ზურგით.

ოსები ჩამოვიდნენ ხევში ცხენებით და მიუახლოვდნენ ხიდს თუ არა, მეორე ნაპირას დაინახეს მარტოდ-მარტო ახალგაზდა მანდილოსანი, რომელიც შეშას აგროვებდა სოფელში წასაღებად.

— მარტოა ქალი, აბა ბიჭებო, არიქათ, მიუბრუნდა ამხანაგებს, რომელმაც პირველად მოჰკრა თვალი.

— დაიცა, იქნება ჰყავს ვინმე...

— ვინ ეყოლება, გააწყვეტინა მესამემ,—არ იცი, რომ ამათი ქალები არაფერს არ დასდევენ, მარტოკანი დახეტიალებენ?!.

— რომ დაიყვიროს და სოფელმა გაგვიგოს?

— ეჰ, შენც ერთი, საქმე გამოგლევია, წამოიძახა პირველმა, რის სოფელი, სოფელი საკმაოდ შორს არის და დაყვირებითაც რას დაიყვირებს შიშისაგან...

ორი კაცი დარჩა ცხენებითა და ორნი გავიდნენ ხიდს. მიუახლოვდნენ ქალს, რომელიც არხეინად ჰკრავდა საბელით შეშას ზურგზედ წამოსაკიდებლად. ქალმა დაინახა, მაგრამ არ მიაქცია ყურადღება, რადგანაც იცოდა, რომ ქართველების ჯარის კაცები იყვნენ და რომ ჯარი წყალს ხევიდგან ეზიდებოდა.

— კარგისაა, სთქვა ერთმა.

— მართლადა ლამაზია, კმაყოფილებით განმარტა მეორემ.

— მე აქ დავდგები, შენ მიდი და ხელი წაავლე, უთხრა პირველმა მეორეს:—თუ დაიყვირა, პირზედ ხელი დააფარე.

მხეცურ გრძნობებით აღჭურვილი ოსი მივიდა ქალთან და მკლავში ხელი ჩასჭიდა.

— რა გინდა?! თითქო განცვიფრებით, მაგრამ წყრომის კილოთი წამოიძახა მანდილოსანმა.

პასუხის ნაცვლად ოსმა მიიზიდა ქალი თავისაკენ გადასახვევად.

— დამეკარგე აქედგან, შე საზიზღარო! შეჰკივლა ქალმა, რა შეუტყო გულის წადილი:—ჩვენ გიყურებთ როგორც ჩვენებს, ჩვენს ხალხს, როგორც ჩვენს ძმებს და თქვენ-კი ლეკებზედ უარესები ყოფილხართ,—ამ სიტყვებით გამოუსხლტა ხელიდგან და გაიქცა სოფლისაკენ.

გაშმაგებული მხეცი დაედევნა უკან. მას აღარა ესმოდა რა, გარდა იმისა, თავისი აესრულებინა. რა საზიზღარი იყო ამ დროს... დაეკარგა კაცის სახე და მისი გამომეტყველება, ანთებული, ხახვივით გაწითლებული, გაჰყეტილი თვალები და ნახევრად გაღებული პირი, ნერწყვით დასველებული,—ვის არ შეჰზარავდა, რომელ მხეცს არ მოგაგონებდათ?..

მეორე ოსმა დაინახა გაქცეული ქალი თუ არა, გაირბინა მოკლე ბილიკით და დაუხვდა წინ.

— ვაიმე... მიშველეთ!.. ერთი საცოდავად იკივლა მეორე ოსის დანახვაზედ თავს ზარ-დაცემულმა ქალმა და კივილით დაეშვა გზა არეული თავქვე.

მიჰყვენ ორნივე კვალდაკვალ. პირველი მოეწია და სტაცა მანდილში ხელი, მაგრამ ქალმა ისე ღონივრად გაიწია, რომ თავიდგან მოგლეჯილი მანდილი შერჩა ოსს ხელში. თავშიშველა, თმა-აბურძგნული, მთლად გაფითრებული ქალი გაემართა ხიდისაკენ.

— მოდის! შესძახეს ერთხმივ ბოროტმა მდევრებმა და მათ ძახილზედ ხიდის მეორე ნაპირზედ გამოჩნდა ერთი მათი ამხანაგთაგანი.

ქალი ხიდზედ იყო, როდესაც გამოჩნდა მეორე ნაპირას ოსი და, რა დაინახა იგი, შესდგა. დააცქერდა თავისს მტარვალებს, რომელნიც იმედმიცემულნი, რომ ველარსად წაუვიდოდათ, მიეშურებოდნენ დასაჭერად, შემდეგ რაღაც არეულად გაიხედ-გამოიხედა, თითქოს ელის შველას საიდმეო, იკივლა და გადახტა წყალში.

მშობლიურ მდინარემ მიიკრა იგი გულს და მანვე მისცა თავისს პატიოსანს შვილს ცივი სამარე!..

ივ. ბ—ლი

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავში ხელი წაავლო, შეაჩერა. ეს იყო ამ ვაჟის მეტოქე მიხეილის შვილი, რომელიც ქალზედ ჯვარს იწერდა. ვაჟს შეეშინდა, დაიბნა, მიხეილის წინ დავარდა და შენდობა მოსთხოვა.

— წადი, შვილო, მიპატიებია ჯერ ღვთის შიშით და მერე ჩემის შვილის ბედნიერების გამო! — უთხრა მიხეილმა და თავისის შვილით შინ დაბრუნდა. ასე გათავდა ინგილო ქალის პატარა რომანი და შერცხვენილი და გულჩათუთქული ძველი საქმრო ქალისა ხელცარიელი შინისაკენ დაბრუნდა.

გ. ფარადაშვილი

# უცხოეთი

**ჩინეთი.** ლონდონის სავაჭრო და საპოლიტიკო წრეების შესანიშნავ წარმომადგენელთაგან დამოუკიდებელი და დიდად გავლენიანი წრე შემდგარა, რომელსაც აზრადა აქვს თურმე თვალი ადევნოს: აღმოსავლეთ აზიის საქმენი რა რიგ ვითარდება და ჩინეთის ბაზარს ბრიტანიისა და საზოგადოდ ევროპის ვაჭრობისათვის რა მნიშვნელობა აქვს.

ჩინეთში მომხდარ უწესოებისა და ამბოხების მოსპობისა და მორიგების საქმეში, ეჭვი არ არის, ახალი წრე ინგლისის პოლიტიკაზედ დიდს გავლენას იქონიებს და იმ აზრისაა საზოგადოდ, რომ სახელმწიფოთ თავიანთს პირვანდელ მოთხოვნილებებზედ უარი არა სთქვან, რადგანაც უარის თქმის შემდეგ ჩინელთა თვალში შორეულს აღმოსავლეთში ევროპის სახელმწიფონი უოველგვარს გავლენასა და მნიშვნელობას დაჰკარგავენ. მაგრამ ახალის წრის უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელნი იმასა თხოულობენ, რომ საზღაური გლეხობას არ დააწვეს კისრად, რომელსაც ამბოხებაში არავითარი აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. ასე, მაგალითად, ფულად საზღაურის შესახებ ინგლისის დამოუკიდებელი წრე თხოულობს, რომ ჩინეთის მთავრობამ ისედაც მეტად გაჭირვებული მშრომელი ნაწილი ჩინელთა აღარ გაბეგროს და ახალი რამ გარდასახადი არ შეაწეროს; ამათ ჩინელ მოხელეთაგან უზომოდ შეწუხებაც ეყოფათო. პირ-იქით, სწორედ დღევანდელის პირობებით უნდა ისარგებლოს სახელმწიფოებმა და გარდასახადთა სისტემა როგორმე ძირეულად შესცვალოს, რომელიც ამ ჟამად მცხოვრებთ მძიმე ტვირთად აწევს. მთავრობა-კი ამ ჟამად გარდასახადთა აღებას იჯარით მეფის მოადგილეებს აძლევს, ესენი თავიანთ მხრივ ხელქვეით მანდარინებს, მანდარინები კიდევ სხვებს და სხ. და ამ რიგად ხალხს სისხლსა სწოვენ, ტყავს აძრობენ. ამ ადამის დროინდელს ბარბაროსულს საშუალებას, ეჭვი არ არის, ზარალის მეტი არაფრის მოტანა არ შეუძლიან და ხალხს ღამის სული ამოჰხდეს; ამისათვის საჭიროა, რაც შეიძლება ადრე და მალე მოისპოს იგი და გარდასახადთა პასუხის მგებელ დაწესებულებათა კონტროლს დაუქვემდებაროს.

ეს საქმე უნდა დაევალოს თუნდაც ჩინეთის საზღვაო საბაჟოებს, რომლებიც მოვალენი იქმნებიან უცხო სახელმწიფოთა მთავრობათ პირნათლადა და სრულად ჩააბარონ ხოლმე ის თანხა, რომელსაც სამშვიდობო მოლაპარაკების დროს გარდასწყვეტენ. ამ რიგად ერთის მხრივ სახელმწიფოთა მოთხოვნილებანი იქმნებოდნენ დაცულნი და მეორე მხრივ შეღავათი მიეცემოდა ჩინეთის იმ შეუძლებელს მცხოვრებლებს, რომელთა არსებობისათვის დღეს გული არავის შესტკივა.

ლონდონის წრეებში დიდად დაიმედებულნი არიან, რომ აღნიშნულ ცვლილებათა განხორციელებას თითონ ჩინეთის იმპერატორი იკისრებს და იმავე დროს ჩინეთის ადმინისტრაციის მმართველ-გამგეობის საქმესაც ძირითადად შესცვლის, რასაც, სახელმწიფოთა ზომიერ და მტკიცე პოლიტიკასთან ერთად, ადვილად შეეძლება აღმოსავლეთ აზიის უდიდესი იმპერია ხელახლად აღადგინოს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ ჩინელთა დამოუკიდებელს თაოსნობას რაც შეიძლება მეტი ადგილი დაეთმოს და იმავე დროს ევროპის გავლენასა და განათლებასაც ჩინეთისაკენ გზა გაეხსნას.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ბურების ბოლოინდელ გამარჯვების შესახებ ლონდონიდგან იუწყებიან: ტრანსვაალის აღმოსავლეთ მხარეს, ვრიგეიდთან ბურებმა ინგლისელები დაამარცხეს და 30 კაცი ტყვედ წაიყვანეს. ორანჟეს რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში დევეტის უკანა ჯარი მტერს მოულოდნელად შემოუბრუნდა და მდევარ ინგლისელთაგან 120 კაცი ტყვეთ წაიყვანა. ლონდონში ამბობენ, რომ ასეთს ტყვეობას აზრი არა აქვს, რადგანაც ბურები ტყვეებს მაშინვე ანთავისუფლებენო; ასე, მაგალითად, მაგალისბურგში ბურების მიერ წაყვანილი ტყვეები ახლა ისევ მათ წინააღმდეგ იბრძვიანო და იმას-კი აღარა ფიქრობენ, თუ სამხედრო პატივი მათი და სახელი რამდენად შებღალულია. სულ სხვა თვალით უცქერის საქმეს სამხედრო სამინისტრო და ოფიცრებს, რომლებიც უმიზეზოდ და უბრალოდ დაჰმორჩილდნენ ბურებსა, სამსახურიდგანა ჰრიცხავს. ამ რიგად სამსახურიდგან გამორიცხული სამშობლოში ბევრი დაბრუნდა.

„რეიტერის სააგენტოს" ატყობინებენ კიმბერლეიდგან: „150 ორანჟელი ბური 10 დეკემბერს რივერტონის სადგურს თავს დაესხა და 500 გირვანქა სტერლინგის ნადავლევი წაიღეს თანა. დახარჩენი ბარგი და საქონელი დასწვეს. ტელეგრაფის მავთულები დაწყვიტეს და უნდოდათ ლიანდაგიც აეფეთქებინათ. სამხედროდ მეიარაღებულმა მატარებელმა ბურები გაფანტა".

ბლუმფონტეინს ისეთსავე მავთულის შემოვლებას უპირებენ, როგორიც იოჰანესბურგს შემოავლეს. ჩანს ინგლისელები თავიანთის დარაჯების შესახებ ვერაფერის საქებ აზრისანნი უოფილან.

— ბურების ბოლოინდელმა გამარჯვებამ და უფრო-კი კლემენტსის დამარცხებამ გაკვირ საპოლიტიკო წრეებზედ დიდი გავლენა იქონია. როგორც ორანჟეს რესპუბლიკიდგან მიღებული ცნობები იუწყებიან, ბურების გენერლებს ჯერ კიდევ დიდი იმედი თურმე აქვთ, რომ საქმეს მოიგებენ და მთავრობაც სრულს თავისუფლებას აძლევს გენერლებს, როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ.

— „Daily Mail."-ის სამხედრო კორესპონდენტს დუგლას სტარს ბურების გენერალ დელარეისთან ლაპარაკი ჰქონია და ამ ლაპარაკს ასე აგვიწერს: „გენერალს დელარეის ნამდვილი პატრიარქული შეხედულობა აქვს და მიხვრა-მოხვრაც ისეთი, როგორიც წარსულ საუკუნეში საფრანგეთის წარჩინებულთა ჰქონდათ. ინგლის-ტრანსვაალის ომის დაწყებამდევე დიდის მეომრის სახელი ჰქონდა დელარეის მოხვეჭილი და 1852 წლიდგან სამხრეთ აფრიკის თითქმის უველა ომში მონაწილეობა მიუღია. როდესაც მაზუტორებთან ომი ჰქონდათ, დელარეი მთელს რაზმსა უფროსობდა. საზოგადოებაში მეტად წყნარი და ჩუმია იგი. მოდერ რივერთან ბრძოლის დროს დელარეის უფროსი შვილი მოუკლავს. ამ სამწუხარო ამბის შესახებ თითონ დელარეიმ აი რა მითხრა: „დიაღ, ომის დაწყებისთანავე შვილი დავკარგე. ის ჯერ თხუთმეტის წლისა იყო და ცოტა სუსტის ჯანმრთელობის პატრონი. მიუხედავად ამისა, იგი მუდამ თან მდევდა და მეც დიდად პატივს ვცემდი, რომ თავისს მოვალეობას ისე მხნედ და ვაჟკაცურად ასრულებდა. ერთის სიმაგრიდგან მეორეში გადავდიოდით; როდესაც მოდერ რივერში ჩემი შვილი ცოტათი უკან ჩამორჩა, დავეკითხე — ხომ არ დაგჭრეს მეთქი.

— დიაღ, მამავ, დამჭრესო, — მიპასუხა.

— მაშ თუ აგრეა, ჩვენ ახლავე სამკურნალო თავშესაფარში უნდა წავიდეთ. მე მისთვის ხელიც კი არ მიმიშველებია. სამკურნალოში რომ შევედით, წაობარბაცა და კვნესა დაიწყო.

— გაწუხებს, შვილო? — დავეკითხე.

— დიაღ, მამავ?

— როგორ, ჰგრძნობ, რომ სიკვდილი გიახლოვდება?

— დიაღ, მამავ!

ნახევარ საათის შემდეგ ჩემი შვილი გარდაიცვალა".

გაათავა თუ არა ეს სამწუხარო ამბავი, დელარეიმ ჩიბუხი ამოიღო, მოუკიდა და დიდ ხანს იყო გაჩუმებული. უფროსი შვილის ადგილი შემდეგ მისმა უმცროსმა 14 წლის შვილმა თურმე დაიჭირა". კორრესპონდენტი დასძენს, რომ დელარეი მოსიყვარულე და შეუპოვარ რაინდის შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზედ.

— ხანგრძლივის მალვის შემდეგ კიტჩენერი გამოტყდა, რომ დევეტმა ინგლისის ჯარი გაარღვია და ტაბანჩუს მთიანს ოლქში გადავიდა. ორანჟეს რესპუბლიკის აღმოსავლეთით მისი რაზმი კაპის ახალშენში გადავიდა და პირდაპირ ალივალნორტზედ მიდის. ახალშენში მცხოვრებთა შორის დიდი შიშია. უველა მხრიდგან ინგლისის ჯარები მიეშურებიან, რომ ბურები მოიმწყვდიონ როგორმე, მაგრამ ეშინიანთ კაპის ახალშენში თითონ დევეტი არ გადავიდეს. ინგლისელთაგან „დევეტის მომწყვდევა" ანდაზად გაიხადეს, ინგლისელები თითონვე დაიცინებიან. ინგლისის სათხუნჯო გამოცემებში შემდეგს სცენებს შეჰხვდებით: ჩემბერლენი ბალფურს ეკითხება, დავიჭირეთ თუ არა დევეტიო? ბალფური უპასუხებს: „არა, ჯერ ისევ მომწყვდეული გვყავსო" და იქვე გრძელი სია იმ ინგლისელებისა, რომლებიც ამ ბოლოს დროს ბურებმა დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს. საზოგადოდ ბევრმა ჟურნალ-გაზეთმა მიმართულება სრულიად გამოიცვალა და ინგლის-ტრანსვაალის ომის შესახებ ახლა სხვა კილოზედა სწერენ წერილებსა.

# ბიბლიოგრაფია.

Dr. N. Reichesberg: Die Arbeiterfrage einst und jetzt, Leipzig 1897 წ.

ნ. რაიხესბერგი: მუშათა კითხვა უწინდელ და ახლანდელ დროში, თარგმანი ევგენია სოლოღაშვილისა. ბათომი 1900 წ.

ნ. რაიჰესბერგი: მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში, თარგმანი თ. კიკვაძისა. ბათომი 1900 წ.

(შემდეგი *)

სულ სხვა ხასიათის იყო მუშათა კითხვა და მუშათა მოძრაობა საშუალო საუკუნოებში. „განსაკუთრებითი თვისებანი, რომელნიც გერმანელებს მათი ისტორიული არსებობიდანვე თან ახლდათ, განსაკუთრებულ ელფერს სდებენ მთელ ამ პერიოდს".

გერმანელებში მონობას ძალიან ცოტა ადგილი ეჭირა. რამდენადაც ისტორიულ ცნობებიდგანა სჩანს, გერმანელთა ტომნი უძველეს დროში სრულიად თავისუფალ და თანასწორ თანამოძმეებისაგან შესდგებოდნენ და თემებად სცხოვრობდნენ. ნაწილი იმ მიწისა, რომელზედაც დასახლებული იყო რომელიმე ტომი, ოჯახების სამემკვიდრო საკუთრებას შეადგენდა; ნაწილი-კი — ტყე, საძოვარი და სხვ. სათემო იყო.

მაგრამ დროს განმავლობაში თავისუფალ და თანასწორ წევრებისაგან შემდგარს თემში გავრცელდა ეკონომიური უთანასწორობა, რასაც თემის დარღვევაც მოჰყვა შედეგად. ეკონომიური უთანასწორობის გაძლიერებას ხელი შეუწყო უმთავრესად ლენის ინსტიტუტმა. „ლენს, ე. ი. დროებით ბოძებულ მამულს, რომელიც ეძლეოდათ მხოლოდ თემის ან თავადის მიერ — ვითარცა თემის წარმომადგენლის — სამსახურის გაწევისათვის და რომელიც ისევ წაერთმევოდათ ლენის მიმღებთ, როცა ისინი სამსახურს აღარ ეწეოდნენ, მფლობელნი დროს განმავლობაში იჩემებდნენ როგორც სამემკვიდრო საკუთრებას. ამ სახით ზოგიერთებმა მეტი მამული ჩაიგდეს ხელში და, მაშასადამე, მეტი სიმდიდრე და ძალაც, ვინემ ხალხის სხვა წევრებმა" (გვ. 33). რაც უფრო ხალხი გამრავლდა, მით უფრო საგრძნობი გახდა დარიბებისთვის მამულის ნაკლებობა. ისინი იძულებული შეიქნენ მდიდრებისგან აეღოთ მიწა ბეგარისა და სამსახურის შეპირებით. ამ სახით დარიბები უმებად გარდაიქცნენ.

„ყმების მდგომარეობა მეტად სამწუხარო იყო. თავისუფლებას მოკლებულთ, მიწაზედ მიკრულთ, საკუთარი ძალ-ღონის გამოწოვას გარდა ბატონების უსაზღვრო თვითნებობა და შევიწროება უნდა ეთმინათ. ამის წინააღმდეგ მათ სახსარი არ მოეპოვებოდათ გარდა აჯანყებისა, რასაც ისინი არა იშვიათად კიდეც მიმართავდნენ ხოლმე და ხან-და-ხან არა უნაყოფოდაც" (გვ. 36).

მაგრამ ამ ხანაში წარმოსდგნენ და განვითარდნენ ქალაქები და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო უმა-გლეხების მდგომარეობის ცოტად გაუმჯობესობას. ქალაქების მცხოვრებნი თავდაპირველად უმები იყვნენ, რომელთაც ბატონების ოჯახებში რაიმე ხელობა შეესწავლათ და შემდეგ ბატონებისვე ნებადართვით აქ გადმოსახლებულიყვნენ. ვითარცა უმებს, მათ ქალაქში ყოფნის დროსაც უნდა ეხადათ საბატონო ბეგარა — გარდასახადი.

ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი სწრაფად გამრავლდა. განვითარდა ხელოსნობა და ვაჭრობა ბოლოს მოქალაქენი ისე გაძლიერდნენ, რომ საკუთრის ძალ-ღონით შეეძლოთ ბატონების ძარცვა-გლეჯისაგან თავის დაცვა. რაც უფრო ეკონომიურად ძლიერდებოდნენ მოქალაქენი, მით უფრო ის მისწრაფება უძლიერდებოდათ, რომ თავისი ქვეშევრდომური დამოკიდებულება მემამულეებისაგან მოესპოთ. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ქალაქელთა და ფეოდალთ შორის, რომელიც უველგან ქალაქების გამარჯვებით დასრულდა.

აი, ამ ბრძოლამ მოუტანა სოფლის უმა გლეხებს სარგებლობა. მემამულეებთან ბრძოლის დროს ქალაქები უოველთვის საჭიროებდნენ გარედგან ძალის შემომატებას. თუ გლეხები ბატონებს გაექცეოდნენ და ქალაქებში ცხოვრებას გადასწყვეტდნენ, ქალაქელები დიდის სიამოვნებით იღებდნენ და ითვისებდნენ მათ. რა თქმა უნდა, გლეხები ამ გარემოებით სარგებლობდნენ და ხშირად ქალაქებში იფარავდნენ თავს ბატონების სისასტიკისაგან. ამ გვარად ბატონები იძულებულნი გახდნენ, თავიანთ უმებს ცოტა უფრო რბილად და ადამიანურად მოჰპყრობოდნენ, რომ მათი ქალაქებში გაქცევა შეეჩერებინათ. „გლეხები-კი, რომლებიც ბატონ-უმობას ბუნებრივ მოვლენად სთვლიდნენ, კმაყოფილნი იყვნენ, თუ ცოტა მაინც შეუმსუბუქდებოდათ ტვირთი, და მოთმინებით იხდიდნენ ბეგარას და ასრულებდნენ საყმო სამსახურს" (გვ. 40). მართალია, მათ ხშირად აჯანყებაც მოუხდენიათ ქალაქელების დახმარებით წინააღმდეგ მებატონეებისა, მაგრამ არასოდეს ასეთს აჯანყებას არ ჰქონია აზრად საზოგადოდ ბატონ-უმობის მოსპობა და თავისუფლების დამყარება. მთავარი აზრი მათის მოძრაობისა ის იყო, რომ გარდასახადი და სამსახური შემცირებოდათ, სხვა და სხვა გვარი თვითნებობა ფეოდალებისა მოსპობილიყო და რომ უკანონოდ წართმეული ტყე, საძოვარი და სხვა ისევ მათ დაჰბრუნებოდათ.

როგორც ვთქვით, მემამულეებთან ბრძოლაში ქალაქებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ამით თვით ქალაქებში სოციალური სიმშვიდე მაინც არ დამყარებულა. გამარჯვების შემდეგ თვით მოქალაქეთა წრეში წარმოსდგა და განვითარდა განხეთქილება.

ქალაქში ხელოსნებს თავიდგანვე ამქრობა ჰქონდათ დაარსებული. ვიდრე ქალაქი მეომრებს საჭიროებდა მემამულეებთან საბრძოლველად, ხელოსნებიც სიამოვნებით იღებდნენ უცხოებს ამქრობაში და იამხანაგებდნენ. მაგრამ როგორც კი ქალაქმა გაიმარჯვა, ეს ანგარიშიც მოისპო, — შემომატებულები საჭირო აღარ იყვნენ. ამასთან ხელოსანთა რიცხვმა იმატა და ამით მათ ნაწარმოებთა რაოდენობამაც, ბაზარი-კი პატარა იყო და ხელოსნები სცდილობდნენ, რომ თავიანთის წარმოების სიდიდე ამ ბაზრის სიდიდესთვის შეეფარდებინათ. ამქრობამ იწყო განკერძოვება და მისი წევრები ჰმეცადინეობდნენ, ამქრობაში ადგილი მხოლოდ მათ სჭეროდათ და უცხონი აღარ შემოეშვათ: შემოიღეს წესად შეგირდების არჩევით აყვანა, დაადგინეს ძალიან გრძელი სწავლის ვადა, გაუძნელეს ქარგლებს ოსტატის ხარისხის მიღება და სხვ. ნამეტნავად ქარგლების საქმე იყო ძალიან გაჭირვებული. თუმცა ქარგლებსაც ჰქონდათ თავიანთი კორპორაციები და ისინიც ებრძოდნენ ოსტატების თვითნებობას, მაგრამ ამით ბევრს ვერას აღწევდნენ. ამასთან თვით ქარგლებშიაც არ არსებობდა თანხმობა.

„პირ-იქით, ყველგან შური და მტრობა მეფობდა, — სხვა და-სხვა კორპორაციების წევრნი ყოველ წამს მზად იყვნენ ერთმანერთთან საბრძოლველად. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მშრომელთა ერთმანერთთან შეთანხმებისათვის მაშინ შესაფერი ნიადაგი არ მოიპოვებოდა... მხოლოდ წარმოების ახალმა წესმა, რომელიც ახალ დროში წარმოსდგა და მეცხრამეტე საუკუნეში უმაღლეს წერტილამდე განვითარდა, შესცვალა ძირიანად შრომის პირობები საზოგადოდ და ამით მუშა კლასის ცხოვრების პირობებიც" (გვ 49).

ეს ახალს დროში გამეფებული წარმოების წესი კაპიტალისტურია. საშუალ საუკუნეებში სამრეწველო წარმოება ხელოსნების ხელში იყო, რომლებიც წვრილ-წვრილად და პატარა ადგილობრივ ბაზრისთვის ამზადებდნენ ნაწარმოებს. სხვა-და სხვა აღმოჩენათა და გამოგონებათა წყალობით ახალს დროში ეს გარემოება შეიცვალა. ნატურალური

*) იხ. „ივერია" № 269.

ეკონომია გაჰქრა და ფულის ეკონომია დამყარდა. წარმოება გადიდდა, მიმოსვლა გაადვილდა, ბაზარი გაფართოვდა. ნაცვლად ხელოსნურის წარმოებისა კაპიტალისტური მანუფაქტურა აღორძინდა და შემდეგ ორთქლის ხმარებით და მანქანების გამოგონების წყალობით ფაბრიკული წარმოება გაჩაღდა. ძველად ხელოსნები მეტოქობას ამცირებდნენ, მწარმოებელთა რიცხვს ჰსაზღვრავდნენ; აქ კი პირ-იქით, ისეთი ნიადაგი განვითარდა, სადაც ყველაფერი თავისუფალ ბეჭითობაზედ უნდა ყოფილიყო მინებებული. ბატონყმობამ და ხელოსნურმა ამქრობამ დრო მოიჭამა.

„საფრანგეთის რევოლიუციამ ერთი დაკვრით დაანგრია დახავსებული და უკვე შერყეული შენობა. ურიცხვი პრივილეგიები საზოგადოების სხვა-და-სხვა კლასთა გაუქმებულ იქმნენ. ხალხის მწარმოებელი ნაწილი განთავისუფლდა მძიმე ტვირთისაგან. ამქრობა და სხვა დაძველებული კორპორაციები დაირღვნენ. შრომა ყველასათვის ხელმისაწვდენი შეიქნა... გაჰქრა ადამიანის ეკონომიური მოქმედების შეზღუდვა და დაბრკოლება... ეს ახალი წეს-წყობილება რამოდენიმე ათი წლის განმავლობაში თითქმის ყველა განათლებულ ქვეყნებში იქმნა შემოღებული. ხალხის ეკონომიური ცხოვრება სწრაფად განვითარდა. განსაკუთრებით მრეწველობა წავიდა წინ..

„მაგრამ სახელმწიფოს და საზოგადოების ახალ წყობილების ნიადაგზედ მალე აღმოცენდა განხეთქილება მუშათა და მუშების დამჭერთა შორის... თანამედროვე წარმოების წესმა, რომელშიაც კაპიტალი ამმოძრავებელი და განმაცხოველებელი ფაქტორი არის და კერძო საკუთრება საფუძველს შეადგენს, მოქირავე მუშა სამუდამოდ დამოკიდებულ ადამიანად გადააქცია, ის ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომლიდგანაც მას ზევით ამოსვლა აღარ შეუძლიან არსებული პირობების შეუცვლელად. წარმოების მოგება სულ კაპიტალის პატრონთ უვარდებათ ხელში, მუშა-კი პროლეტარი ხდება... ახლანდელი მუშა მაინც გრძნობს იმ შეუსაბამობას, რომელიც არსებობს მის უბედურ მდგომარეობასა და მიმდინარე კულტურული ეპოხის უფლებრივ და პოლიტიკურ შეხედულებათა შორის. სახელმწიფოს და საზოგადოების თან-და-თანი გადემოკრატება, ხალხში გავრცელებული სწავლა-განათლება აეჭვიანებს მოქალაქეს, რომლისთვისაც ბედს სამუდამოდ ეკონომიური დამოკიდებულება ურგუნებია, არსებულ საზოგადოების წეს წყობილების სამართლიანობაში და სივარგისეში... და... ჰქმნის (მასში) მისწრაფებას, რომ შემდეგი ცხოვრების განვითარება სრულიად სხვა საფუძველზედ დამყარდეს, სახელდობრ: რომ უფლებრივ და პოლიტიკურ თავისუფლებასა და თანასწორობასთან ერთად ეკონომიური თავისუფლება და თანასწორობაც იქმნეს განხორციელებული... მუშათა კავშირი და სოლიდარობის შეგნება ვრცელდება დედამიწის ყველა ქვეყნებში, სადაც-კი თანამედროვე წარმოების წესს ფეხი მოუკიდებია, ბრძოლა, რომელსაც შეერთებული პროლეტარები კაპიტალის პატრონთა წინაალმდეგ ეწევიან, ყველგან ერთნაირი იარაღით სწარმოებს. ყველგან მებრძოლ პროლეტარებს ის მიზანი აქვთ, რომ წარმოების საშუალებანი, რომლებსაც დღეს კერძო მესაკუთრენი ფლობენ და წარმოებაში თავის სასარგებლოდ ხმარობენ საზოგადო საკუთრებად იქმნენ გარდაქცეულნი“ (გვ. 52, 57).

როგორც ჰხედავთ, რაიხესბერგის წიგნაკი მდიდარია შინაარსით. რასაკვირველია, სამი ათასის წლის ისტორიას ავტორი რაღაც 50 გვერდზედ ვერ დასტევდა და ამიტომ კითხვის საგსებით გარკვევა ასეთ პატარა წიგნაკში მას ვერ მოეთხოვება. წიგნის სიპატარავის მიუხედავად სამაგალითოდ აქვს დახასიათებული მუშა ხალხის მდგომარეობა და მოძრაობა თითოეულ ისტორიულს ხანაში და გამორკვეული ამ მოძრაობის დამახასიათებელი აზრი და მისწრაფება. ავტორი სწერს მოკლედ, მაგრამ მდაბიურად, ყველასათვის გასაგებად. ჩვენ აქ მხოლოდ ავტორის უმთავრესი აზრები გადმოვიღეთ და ვურჩევთ მკითხველს, თვით წიგნაკი წაიკითხოს.

მაგრამ რომელი თარგმანი № 1, თუ № 2? Embarras de richesses—სიმდიდრისაგან გაჭირვებაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. გვსინჯოთ ქართული თარგმანებიც.

Georgiano.

(შემდეგი იქმნება).

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

თითქმის ყველა სახელმწიფოს კანონებით ქორწინება მახლობელ ნათესავთა შორის აღკრძალულია. ეს საგანი, ე. ი. ქორწინება ნათესავთა შორის, ყოველთვის სალაპარაკოს შეადგენდა როგორც კანონმდებელთა, აგრეთვე საზოგადოებისა და კერძო კაცებისა. უწინდელ დროში უბრალო ჩვეულების ძალით იყო აღკრძალული ქორწინება ნათესავთა შორის. შემდეგ, კულტურის გავრცელებისათანავე, ეს ჩვეულება კანონად გარდაიქცა; თუმცა წინადაც და ეხლაც წინაალმდეგნი ამგვარს აღკრძალვას ჰყოლია და ჰყავს. ამათის აზრით, საბუთი არა აქვს ნათესავთა შორის ქორწინების აღკრძალვას, თუ-კი ეს ნათესავები ჯან-საღნი და სხეულით სრულიად მრთელნი იქმნებიან. ხალხთა უმრავლესობა ყოველთვის დარწმუნებული იყო და დღესაც დარწმუნებულია, რომ ქორწინებას მახლობელ ნათესავთა შორის ცუდი შედეგი მოსდევს ჩამომავლობისათვის. ამ ბოლოს დროს, მეცნიერთა გამოკვლევების წყალობით, ეს რწმენა რამოდენადმდე მართლდება. მაგალითები მცენარეთა, პირუტყვთა და ადამიანთა ცხოვრებიდგან გვიჩვენებენ, რომ მახლობელ ნათესავთა შეკავშირებას არასასურველი შედეგი მოსდევს ჩამომავლობისათვის. მრავალჯერ უცდიათ და ნათესავი პირუტყვნი შეუკავშირებიათ; უმეტეს შემთხვევაში ასეთ შეკავშირებას შედეგად ჯიშის ფიზიკურად შესუსტება, უნაყოფობა, ტუბერკულეზისა და სხვა ავადმყოფობის გაჩენა და გაძლიერება მოჰყოლია. არა ერთხელ შეკრებილი სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ, რომ ადამიანთა შორისაც მახლობელ ნათესავთა შეუღლებას ასეთივე საწუხარო შედეგი მოსდევს. მანტეგგამ შეჰკრიბა ცნობები 512 ასეთ ოჯახის შესახებ და აღმოჩნდა, რომ ამათგან 409 ოჯახისათვის მახლობელთა შეუღლებას მეტად მავნე შედეგი მოჰყოლია და მხოლოდ 103 ოჯახზედ არა ჰქონია ამგვარს შეუღლებას ცუდი გავლენა. სხვა ცნობებიც ამასვე გვეუბნებიან. აშკარაა აქედგან, რომ ქორწინების აღკრძალვა მახლობელ ნათესავთა შორის საზოგადოებისათვის სასარგებლოდ უნდა იქმნას ცნობილი. იდიოტიზმი ხშირი შედეგია ნათესავთა ქორწინებისა, და იდიოტთა თავშესაფარებში მრავლად შეჰხვდებით ისეთ შეუღლებულთა შვილებს, რომელნიც მახლობელნი ნათესავნი ყოფილან. არა ერთხელ მოსდევს ნათესავთა შეუღლებას აგრეთვე ეპილეპსია, ისტერია, ნევრასტენია, ყრუ-მუნჯობა და სხვა ავადმყოფობა.

* * *

ლონდონში არსებობს ერთი კლუბი—„National Cpozt's Clud“, რომელსაც „ბოქსის აკადემიასაც“ ეძახიან. ბოქსი, როგორც ვიწყით, ინგლისური კრივია. აი, ამ კრივით ერთობიან ხსენებულ კლუბში. ამას წინად გაზეთ „Temps“-ის კორესპონდენტი ყოფილა კლუბში და ეხლა იქ ნანახს დაწვრილებით აღგვიწერს. „დარბაზში, სადაც შემიყვანეს,—სწერს, სხვათა შორის, კორესპონდენტი,—უკვე შეკრებილიყო დიდძალი საზოგადოება, რომელიც შესდგებოდა მკურნალებისა, მოსამართლეებისა, ფინანსისტებისა, ლონდონელ მდიდრებისა და სხვათაგან. დარბაზის შუაში განსაკუთრებული ადგილია მოწყობილი მებრძოლთათვის. გაისმა ტაშის ცემა და ამ პატარა მოედანზედ გავიდა ორი კაცი. ორივეს მხოლოდ მოკლე შარვლები ეცვათ, ფეხთ-საცმელი და უშველებელი ხელთათმანები. წელს ზევით ტიტველნი იყვნენ. ამათ გარდა სცენაზედ იდგა ორი სხვა კაცი, რომელთაც ხელში ეჭირათ ჯამი წყლით, სალფეტკი და ღრუბელი. ხელმძღვანელმა ანიშნა და კრივი დაიწყო. მოწინააღმდეგენი პირველად დიდხანს იცდენდნენ მოქნეულ მუშტებს წინ, უკან და გვერდზედ გადახტომით. მაგრამ, აი ერთმა მარჯვედ მოუქნია მუშტი და ძლიერად მოარტყა. მეორემ, გაბრაზებულმა ველარ მოითმინა, და ახლო მიჰვარდა, მაგრამ პირველი უკვე მზად იყო, ხელ-ახლა დაარტყა მუშტი და ბოლოს საბრძოლ მოედნის მეორე კუთხეში მიაგდო; ერთი მუშტიც და მოწინააღმდეგე მძიმედ დაეცა ძირს. ხელმძღვანელმა „time“ დაიძახა და ამითი ანიშნა გამარჯვებულს, წაქცეულს ადგომა დააცალეო. მაგრამ ადგა თუ არა, ახალმა მუშტმა ხელ-ახლა წამოაწვინა მიწაზედ. ბრძოლა ცოტა ხანს შეჩერდა, თანაშემწეებმა დასველებული ღრუბელი წაუსვეს შუბლზედ მებრძოლთ და წყალი მისცეს დასალევად შემდეგ ზარის წკარუნმა ხელ-ახლა აცნობათ ბრძოლის დაწყების დრო. უფრო მედგრად და უფრო გაბრაზებულნი ეცემოდნენ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს. მალე ორივეს სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდათ ცხვირიდგან, პირიდგან, ყურებიდგან... ბოლოს ძალ-ღონე გამოლეულნი და დაოსებულნი ორივენი მოედანზედ წაიქცნენ. საოცარი ტაშის-ცემა და „ვაშას“ ძახილი გაისმოდა დამსწრე საზოგადოებაში. თანაშემწეებმა დაავლეს ხელი მებრძოლთ და გაიტანეს მოედნიდგან. შემდეგ სხვა მებრძოლნი შემოვიდნენ“...

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 დეკემბერი

**ლონდონი.** კიტჩენერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: რამდენადაც-კი აზრის შედგენა შესაძლებელია, ჩემის ფიქრით, ბურების წინსვლა კაპის ახალშენში უკვე შეფერხებულია. ჩვენმა ჯარებმა ბურების ორთავე რაზმს გარს მოუარეს; ბრიტანელთაგან მალე ერთი რაზმი კიდევ შესდგება და დაუყოვნებლივ გაიგზავნება. კაპის ახალშენში ბურები დიდს თანაგრძნობასა და დახმარებას ვერ პოულობენ. დევეტი სენეკალის მახლობლად არის. ფრენჩი იუწყება, რომ ამ ორის დღის განმავლობაში მაგალისბურგის სამხრეთ მხარეს მეიერისა და დელარეის რაზმებს შეჰხვედრია და დევნა დაუწყვია მტრისათვის, რომელსაც დიდი ზარალი მოჰსვლია. ბურების ერთი რაზმის უფროსი კრაუზე და რამდენიმე სხვა ბური ტყვეთ წავიყვანეო.

**ნიუ იორკი.** პეკინიდგან დეპეშით იუწყებიან,—ელჩებს მათ დაკითხვაზედ ლიხუნგჩანგმა ის პასუხი მისცა, რომ, მისის აზრით, იგი ხვალ ელჩების კრებაზედ დასწრებას შესძლებს, რომ ცინთან ერთად სახელმწიფოთა საერთო ნოტა ჩაიბაროს. ნოტას ისპანიის ელჩი გადასცემს, როგორც ყველაზედ მხცოვანი წევრი სადიპლომატო კორპუსისა, და მოკლე სიტყვით მიჰმართავს, რომელშიაც იმედი იქმნება გამოთქმული, რომ მალე სიფრთხილითა და დაწვრილებით აწონ-დაწონილსა და მოფიქრებულს პასუხს მიიღებენ; ამასთანავე სურვილი იქმნება გამოხატული, რომ დინასტია დაცულ იქმნას და ჩინეთის ერს მეტის-მეტად მძიმე პირობები არ დაეკისროს. დასასრულ, სიტყვაში იმედი იქმნება განცხადებული, რომ იმპერატორს უთუოდ ჩააგონებენ თანხმობა მალე განაცხადოს. პასუხს ზედმიწევნით ხუთშაბათს ელიან.

**ვაშინგტონი.** ამერიკის მთავრობას ჰსურს, რომ მალე სახელმწიფოებმა 200 მილიონ დოლლარზედ მეტი საზღაური არ მოსთხოვონ ჩინეთსა. შეერთებულმა შტატებმა ჯარისა, საომარ იარაღისა და სამხედრო სურსათის გადაგზავნაში 11 მილიონი დოლლარი დახარჯა, რომლის მომეტებული ნაწილიც ჩინეთს დაეძება.

**პეტერბურგი.** 11 დეკემბერს პეტერბურგში სიამის მემკვიდრე პრინცი მახავა ვაჩარავუტი ჩამოვიდა, რომელსაც ვოგზალზედ თავისი ძმა პრინცი ჩაკრაბონი მიეგება.

დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული უავგუსტოესის ასულითურთ 11 დეკემბერს ცარსკოე სელოში მიბრძანდა.

12 დეკემბერი

**ბერლინი.** ლონდონიდგან მიღებულ კერძო ცნობებით, კაპის ახალშენში ბურების გადასვლის შესახებ მიღებულს ოფიციალურს დეპეშას მეტად გაზვიადებულადა სთვლიან. როგორც ხმა დადის, ბურების შესევის შესახებ აფრიკანდერთა წინამძღოლებს წინადვე პირობა ჰქონიათ შეკრული და ახლაც მხარს უჭერენ. კაპის ახალშენში გადასულ ბურების რიცხვი 6,000 მდეა. მთელს ახალშენში ამბოხებაა. კაპის სხვა-და-სხვა სახელმწიფო მოღვაწენი საჭიროდ სთვლიან, რომ ხუთის წლით კონსტიტუცია გაუქმებულ იქმნენ.

**პეკინი.** სამშვიდობო პირობები ისპანიის ელჩმა ლიხუნჩანგსა და ცინს დღეს ჩააბარა. 9 დეკემბრის თარიღით აღნიშნული ნოტა ფრანგულს ენაზეა შედგენილი და შეიცავს 13,000-მდე სიტყვას, რომელსაც ევროპის სახელმწიფოთა თერთმეტი წარმომადგენელი ხელს აწერს. ნოტის ჩინურს ენაზედ გადათარგმნაში საელჩოთა ყველა თარჯიმანები მონაწილეობას იღებენ.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

16 დეკემბერი:

ათანასე ჩაგელაშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების 1-ლ ნაწილის მე 1465 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება.

გიორგი დანელიასი და სტეფანე ქაჩიბაიასი, რომელთაც სასჯელთა დებულობის 1 ლ ნაწილის მე-1653 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდებათ;

დათიკო არაბულისა, რომელსაც მკრეხელობა (წმიდათა შეგინება) ედება ბრალად;

ვასილი ნარისქუა და მიხეილ აგირბაიასი, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ.

19 დეკემბერი:

არჩილ აიწურაძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.

21 დეკემბერი:

დავით მაჩიტაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების 1-ლ ნაწილის მე 347 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად;

გიორგი ჯანუაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდება;

სფირიდონ კაციტაძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება;

თავ. კონსტანტინე დადეშქელიანისა და თავ. ნიკოლოზ ფაღავასი, რომელთაც პოლიციის ჩინოსნის შეურაცხყოფა ჰბრალდებათ;

ვარლამ გოცირიძისა, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება;

მიხეილ ჩარკვიანისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება.


# განცხადებანი

**ზაქარია ჭიჭინაძის** წიგნის მაღაზიის ახალი მესამე გამოცემა 33 სურათით

გ. ნ. იოსელიანის

**„საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა“**

დამატებით. შედგენილი სახალხო და სამრევლო სკოლებისათვის.

**ფასი 40 კაპ.**

(3—255—3)

**დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან**

**ქართული კედლის კალენდარი**

1901 წლისა, შედგენილი გრ. ჩარკვიანის-მიერ, ფასი 40 კაპ.

გარეშე პირთ შეუძლიანთ გამოიწერონ წერა-კითხვის მაღაზიიდგან: Тифлисъ; книжный магазинъ Общества распространенія грамотности. (5—6.—4)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**პიმიენტა**

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—30)

ახლად გაღებულის ხის

# ნახშირის საწყობში

(ვერის მოედანზედ, ყაფანთან)

**საუკეთესო ღირსების ნახშირი წონით ისყიდება**

ფუთი ათ შაურად (50 კ.). მყიდველს მიეცემა ბარათი, რომელშიაც აღნიშნული იქნება რაოდენობა წონისა და მიცემულის ფასისა. (6—246—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Декабря 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე